ორგანიზაციის საქმიანობის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება თავისუფლება თანასწორობა DIGNITY LIBERTY EQUALITY ოქტომბერი, 2013, №04 (4)

27 ოქტომბრის ბრიფინგი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ არჩევნებს თბილისის ათივე ოლქში დააკვირდა

“ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დაკვირვებას თბილისის მასშტაბით განახორციელა. ორგანიზაციის წევრები არჩევნებს თბილისის ათივე ოლქში აკვირდებოდა და ამომრჩეველთა აქტიურობისა და პროცესის გამჭვირვალობის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. ორგანიზაციამ საპრეზიდნტო არჩევნების მიმდინარეობა თბილისში მშვიდობიან გარემოში შეაფასა. ორგანიზაციის დამკვირვებლების ინფორმაციით, არ დაფიქსირებულა არც ერთი დარღვევის ფაქტი, რომელსაც გავლენა შეიძლება მოეხდინა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობასა და ღიაობაზე.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მობილური ჯგუფების მეშვეობით, საარჩევნო უბნებზე, დილის 10:00 საათიდან გადაადგილდებოდა და არჩევნების მიმდინარეობას აკვირდებოდა, ხოლო 17:00 საათიდან, მობილური ჯგუფმა იმუშავა უკვე განსაზღვრულ შემდეგ კონკრეტულ №1 ოლქის №31, №25, №26 და №30 უბანზე; №2 ოლქის №1, №2, №4, №5, №6, №29, №30, №37, №38 და №39 უბანზე; №3 ოლქის №7, №23, №24, №26, №15, №6, №62, №64, №65, №66 და №67 უბანზე; №4 ოლქის №7, №11, №22, №23 და №32 უბანზე; №5 ოლქის №1, №2, №3, №4 და №10 უბანზე; №6 ოლქის №6, №7, №8, №19 და №20 უბანზე; №7 ოლქის №6, №7, №21, №22, №26, №9, №11; №38, №25 და №14 უბანზე; №8 ოლქის №11, №26, №15, №16 და №12 უბანზე; №9 ოლქის №17, №18, №19, №25, №26, №39, №43, №44, №59 და №60 უბანზე; №10 ოლქის №93, №94, №95, №98, №99, №34, №36, №38, №42 და №43 უბანზე.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, თბილისის მასშტაბით, 75 უბანზე მეტს დააკვირდა, ხოლო ორგანიზაციამ, საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ, საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია განსაზღვრულ უბნებზე ამომრჩეველთა აქტიურობის შესახებ. ორგანიზაციამ მონაცემები ოფიციალურ ვებ—გვერდზე 20:00 საათისთვის გამოაქვეყნა.

“Young Barristers” – after the democratic elections, Georgia is given a chance to start the necessary reforms, establish the rule of law and public governance

NGO “Young Lawyers” estimates that transparency of presidential elections held on October 27, 2013 is an opportunity for the country to start the real democratic reforms and to actively involve people in politics. The organization focuses on the voters’ freedom of expression, election administration and the election day free of violence signs.

The executive and legislative branches of government ensured democratic elections, which creates the chance for serious reforms. For the country to establish the rule of law and public governance, for the president to become the real guarantee for the implementation of human rights, while society can strengthen democratic institutions, become a participant in decision-making, increase their civil-legal awareness and active civic initiative, reinforce and protect achieved successes in democratic process.

“Young Barristers” thinks, one of the main precondition for holding a transparent presidential elections was – depoliticizing of the Georgian police and right administration by the Central Election Commission.

The organization believes that the presidential election has shown protecting the principle of legality by the institutions in the country is vital, and it should be strengthened even more in the future. It is also important to strengthen attention towards the political responsibilities so the public can fully evaluate the importance of participation in elections.

“Young Barristers” says the problems observed at the polling stations did not represent serious procedural violations, and did not affect the transparency of elections. The organization also hopes that the government will be able to improve several controversial regulations in the Election Code before the municipal elections.

Note: “Young Barristers” observed the presidential elections in Tbilisi, in all ten districts. The organization observed over 80 polling stations throughout Tbilisi and published data of voters’ participation by 17:00. The observers did not file any violation.

საპრეზიდენტო არჩევნები

საპრეზიდენტო არჩევნები – შანსი საქართველოსთვის

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების გამჭვირვალობას, ქვეყანისთვის რეალური დემოკრატიული რეფორმების დაწყებისა და ხალხის პოლიტიკაში აქტიური თანამონაწილეობის შესაძლებლობად აფასებს. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს არჩევნების პროცესში მოქალაქეთა თავისუფალი ნების გამოხატვის შესაძლებლობას, საარჩევნო პროცესის ადმინისტრირებას და ძალადობის ნიშნებისგან თავისუფალ კენჭისყრის დღეს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოს აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ უზრუნველყვეს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, რომელიც შანსს აჩენს საქართველოსთვის დაიწყოს სერიოზული რეფორმები, ქვეყანაში დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა და საჯარო მმართველობა, პრეზიდენტი გახდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების რეალური გარანტი, ხოლო საზოგადოებამ შეძლოს საკუთარი თანამონაწილეობითა და კონტროლით, გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუტები, გახდეს გადაწყვეტილებების მიღების თანამონაწილე, შეძლოს გაიღრმავოს სამოქალაქო—სამართლებრივი თვითშეგნება და აქტიური სამოქალაქო ინიციატივებით, განამტკიცოს და დაიცვას დემოკრატიულ პროცესში მიღწეული წარმატებები.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარების ერთ—ერთ მთავარ წინაპირობად, საქართველოს პოლიციის დეპოლიტიზირებას და ცენტრალური საარჩევნო კომისიის სწორ ადმინისტრირებას მიიჩნევს. ორგანიზაციის აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში ინსტიტუციების მიერ კანონიერების პრინციპის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია, რაც მომავალში, კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს. ორგანიზაციის შეფასებით, ასევე, მნიშვნელოვანია ქვეყანაში გაძლიერდეს პოლიტიკური უფლებების მიმართ ყურადღება და საზოგადოებამ სრულად შეაფასოს არჩევნებში თანამონაწილეობის პასუხისმგებლობა და მნიშვნელობა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, ხარვეზები, რომლებიც საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა, არ წარმოადგენდა სერიოზულ პროცედურულ დარღვევვებს და გავლენა არ მოუხდენია არჩევნების გამჭვირვალობასა და საჯაროობაზე. ორგანიზაცია, ამასთან იმედოვნებს, რომ ხელისუფლება შეძლებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის სრულყოს საარჩევნო კოდექსით დარჩენილი ზოგიერთი საკამათო რეგულაცია, რომელიც შეძლებდა ხარვეზიანი ნორმების გასწორებას.

ცნობისთვის: “ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დაკვირვებას თბილისის მასშტაბით, ათივე ოლქში ანხორციელებდა. ორგანიზაცია, თბილისის მასშტაბით, 80—ზე მეტ უბანს დააკვირდა, ხოლო 17:00 საათის მონაცემებით, გამოაქვეყნა ამ უბნებზე ამომრჩეველთა დასწრების მონაცემები. ორგანიზაციის დამკვირვებლებს საჩივარი არც ერთ უბანზე არ დაუწერიათ.

კონფერენცია

რას მოუტანს პრეზიდენტის მასშტაბური შეწყალება საზოგადოებას?!

გვ.4

მოკლედ

- ორგანიზაციამ, ოქტომბრის თვეში 10 ბრიფინგი გამართა, ხოლო სხვადასხვა უფლებამოსილი პირისა და უწყების მიმართ, მომზადადდა დაგაიგზავნა 20 წერილი.
- ორგანიზაციამ პროექტ „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ საართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეხვედრა გამართა.
- ორგანიზაციამ თბილისში თემაზე: „რწმენისა და აღმსარებლობის შესაძლებლობა საქართველოში“ კვლევის პრეზენტაცია და მრგვალი მაგიდა გამართა.
- ორგანიზაციამ გამართა მრგვალი მაგიდა, თემაზე: „რას მოუტანს პრეზიდენტის მასშტაბური შეწყალება საზოგადოებას?“
- ორგანიზაციამ თბილისში თემაზე: „ევროკავშირის სტანდარტები, ვაჭრობა და კონკურენცია საქართველოში“ კონფერენცია გამართა.
- ორგანიზაციამ მოახდინა ადგილობრივი სადამკვირვებლო სტატუსის მიღება და მონაწილეობა მიიღო საპრეზიდენტო არჩევნების დაკვირვებისა და მონიტორინგის პროცესში.
- ორგანიზაციამ თბილისის მასშტაბით ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა საპრეზიდნტო არჩევნების მიმართ ნდობის რეიტინგის დასადგენად, ხოლო საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ მოამზადა სამოქალაქო კამპანია და გამოსცა გაზეთი: „შენ ირჩევ პრეზიდენტს“.
- ორგანიზაციამ საჯარისო ნაწილებში ჯარისკაცების მოწამვლის მორიგი შემთხვევის შესახებ, რომელიც ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, I ქვეით ბრიგადაში მოხდა, საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა. საკითხზე დისკუსია საქართველოს პრემიერ მინისტრთან დიალოგში გაგრძელდა. ორგანიზაციამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო პოზიციებს საპასუხო განცხადებით უპასუხა. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ჯარისკაცების მოწამვლის 700—ზე მეტ შემთხვევასთან მიმართებით, მთავარ პროკურატურას გამოძიებისთვის მიმართა.
- ორგანიზაციამ მეტეხის პლატოზე მიმდინარე მშენებლობები გაპროტესტა და დედაქალაქის ისტორიული უბნის იერ—სახის დამახინჯებისთვის დედაქალაქის თვითმმართველობის ყოფილი წევრები ამხილა.
- „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლები შეხვდნენ ებერტის ფონდის წარმომადგენლობას თბილისში.
- „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს საქმიანობის ანგარიში მიაწოდეს.
- „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ შეიმუშავეს საპროექტო წინადადება: „აქტიური მოქალაქე — ანგარიშვალდებული მთავრობა“.
- „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელებისთვის დაიწყეს პროექტი: „ადგილობრივი ლიდერები“
- „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ოქტომბრის თვეში 7 იურიდიული კონსულტაცია გასწიეს, ხოლო პოლიტიკური ნიშნით გატავისუფლებული ირაკლი ქველაძის საქმეზე უზრუნველყვეს სასამართლო წარმომადგენლობა.
- „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კოლეგა ორგანიზაციის მიერ მომზადებულ სემინარებსა და სადისკუსიო მაგიდებში.

31 ოქტომბრის ბრიფინგი

თანამდებობიდან გადამდგარი გუბერნატორები საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობენ

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოს რეგიონის რწმუნებულები საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობენ, როდესაც თანამდებობიდან გადადგომას კანონის ვალდებულებად კი არა, არამედ არჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეუთავსებლობით ხსნიან. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად გამარჯვებული კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის გამოვლენის შემდეგ, საქართველოს რეგიონებში, სახელმწიფოს ცხრა რწმუნებულიდან ექვსმა, გადადგომის შესახებ მოქმედ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიმართა და თანამდებობის დატოვების მიზეზად, გამარჯვებულ საპრეზიდენტო კანდიდატთან თანამშრომლობის შეუძლებლობა დაასახელა. ორგანიზაციის შეფასებით, გადამდგარმა გუბერნატორებმა თანამდებობების დატოვება პოლიტიკური მანიპულაციების საკითხად აქციეს და საზოგადოებისთვის არ მომხდარა რეალური ვითარების განმარტება — გადადგომა პოლიტიკური შეხედულებების გამო მოხდა თუ კანონის პირდაპირი მოთხოვნის შედეგად.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, თანამდებობიდან გადამდგარ გუბერნატორებს საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ, რადგანაც კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, გუბერნატორები ანგარიშვალდებული პრეზიდენტის წინაშე აღარ იქნებოდნენ. გუბერნატორებს გადადგომის შესახებ განცხადება რომც არ დაეწერათ, კონსტიტუციური მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათ თანამდებობის დატოვება მაინც მოუწევდათ, რადგანაც სახელმწიფო რწმუნებულები, ახალი საკონსტიტუციო რეგულაციებით, ანგარიშვალდებულნი, პრეზიდენტის ნაცვლად, საქართველოს მთავრობისა და პრემიერ—მინისტრის წინაშე ხდებიან.

კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, რომელიც ძალაში ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების შემდეგ შედის, გუბერნატორის ინსტიტუტი მთლიანად მთავრობის დაქვემდებარებაში გადადის და ინსტიტუტის კონტროლი, პრეზიდენტს, მთავრობის ნებართვის შემთხვევაშიც კი აღარ შეუძლია. საქართველოს კონსტიტუციის 813-ე მუხლის მე-3 პუნქტის შეცვლილი ვარიანტის თანახმად, რომელიც არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდება, სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განმარტებით, გუბერნატორთა გადადგომა ქვეყანაში პრობლემებს არ გამოიწვევს, რადგან ახალი კანონმდებლობა საკითხს ახლებურად არეგულირებს. საქართველოს მთავრობა დანიშნავს ახალ გუბერნატორებს და პრემიერ—მინისტრი ხელს მოაწერს მას. კანონის თანახმად, რეგიონის ახალი გუბერნატორები, ნოემბრის ბოლოს, ახალი მთავრობის დამტკიცების შემდეგ დაინიშნებიან.

ცნობისთვის: განცხადება გადადგომის შესახებ უკვე დაწერა ქვემო ქართლის რწმუნებულმა დავით კირკიტაძემ, იმერეთის გუბერნატორმა ვახტანგ ბალავაძემ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა თენგიზ გუნავამ, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა ივანე წიკლაურმა და გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა ვალერი ჩიტაიშვილმა.

26 ოქტომბრის ბრიფინგი

მეტეხის პლატოზე მიმდინარე მშენებლობები დედაქალაქის ისტორიული უბნის იერ-სახეს ანგრევს

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოვუწოდებთ ყველას, ვინც პასუხისმგებელია დედაქალაქის ისტორიული უბნების იერ—სახის შენარძჩუნებაზე — თბილისის მერიას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, არქიტექტორებს, კულტუროლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ურბანისტებს, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება მეტეხის პლატოზე მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ შეშფოთებულები ვართ იმ ინტენსიური სამშენებლო პროცესით, რომელსაც ადგილი აქვს დედაქალაქში, კერძოდ, მეტეხის პლატოზე. ვახტანგ გორგასლის ძეგლიდან დაახლოებით 100—150 მეტრის მოშორებით მრავალსართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც თავისი არსით ამახინჯებს ძველი თბილისის ისტორიულ იერ—სახეს და ფაქტობრივად, გამოუსწორებელ შედეგამდე მიყავს და ცვლის მეტეხის პლატოს ტრადიციულ განაშენიანებას.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ გაეცნენ ხელოვნებათმცოდნეების მოსაზრებას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დაუშვებელია მაღალსართულიანი ნაგებობის აშენება მეტეხის პლატოზე, რომელიც კონტრასტული იქნება მეტეხთან და იქ აღმართული სახლების რიგთან. მეტეხის პლატო არის თბილისის სავიზიტო ბარათი, ლანდშაფტის დაცვის ზონა და აქ დაუშვებელია უხეში ჩარევა, — ასეთია კულტუროლოგთა მოსაზრება, რომელსაც ორგანიზაცია იზიარებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ გაეცნენ ამ მშენებლობასთან დაკავშირებულ ისტორიას და გამოარკვიეს შემდეგი: ნაგებობა ამ ეტაპზე, ხუთსართულიანია, ტროტუარის ნიშნულს ქვემოთ არის ორი სართული, ხოლო ზემოთ - სამი სართული. მშენებლობა მიმდინარეობს ჯორბენაძის 11/13-ში, რომელიც ადრე რუისის ქუჩის სახელით იყო ცნობილი. მშენებლობას აწარმოებს და დამკვეთი არის ბორის პაიჭაძე (შპს. „მეტეხის წარბი“) და არსებობს მშენებლობის ნებართვაც. გაირკვა ისიც, რომ ამ მშენებლობის თანამესაკუთრე არის, როგორც ჩანს, უკვე ბიზნეს—სექტორში გადასული, დიდუბის ყოფილი გამგებელი და ქალაქის საკრებულოს ყოფილი წევრი გიორგი ჩაჩანიძე, რასაც არც ის უარყოფს მედიასთან საუბარში.

გამოირკვა, რომ 2012 წლის მარტში, მერიის არქიტექტურულმა სამსახურმა გასცა ნებართვა და აღნიშნული სარეკრეაციო ზონა (სადაც ყოველგვარი მშენებლობა დაუშვებელია) საცხოვრებელ ზონად გადააქცია. სწორედ ამის შემდეგ გაჩაღდა მეტეხის პლატოსთან შეუსაბამო მაღალსართულიანი სასტუმროს მშენებლობა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო საკითხთან დაკავშირებით აცხადებს, რომ თბილისის ძეგლებზე მეთვალყურეობა თბილისის მერიის კომპეტენციაა და ეს ძეგლები მათ კონტროლქვეშ ჯერ არ გადაცემულა. ამდენად, საკითხთან დაკავშირებულ დეტალებსა და ნიუანსებზე პოზიციას ვერ გამოხატავენ.

სამწუხაროდ, იკვეთება, რომ რაც მეტეხის პლატოზე ხდება, არავის მოსწონს, მაგრამ პასუხისმგებელი არავინაა, — კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო თბილისის მერიისკენ იშვერს ხელს, მერია დუმს, ან მშრალი, მოკლე ოფიციალური კომენტარით იფარგლება, ამასობაში კი დრო გადის, საეჭვო „სასწრაფო წესით“ მშენებლობის ნებართვის მიმღები გაბიზნესმენებული მოხელეები და პოლიტიკოსები თავიანთ საქმეს დაჩქარებული ტემპებით ასრულებენ, ხოლო შედეგად, ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ მეტეხი პლატოს იმ მნიშვნელოვან და უნიკალურ ურბანულ განაშენიანებას, რომელმაც 21-ე საუკუნემდე მოაღწია.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მეტეხის პლატოზე მიმდინარე განაშენიანების პროცესთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში მრგვალი მაგიდის გამართვას ვგეგმავთ, სადაც მოვიწვევთ ყველა პასუხისმგებელ უწყებას და საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებას.

18 ოქტომბრის ბრიფინგი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ბიძინა ივანიშვილს ჯარისკაცების მოწამვლის საკითხით დაინტერესებისკენ მოუწოდებენ

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები” ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტს კიდევ ერთხელ ეხმაურება. ორგანიზაციის ხელმძღვანელის, მარიკა არევაძის განცხადებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი აღნიშნული საქმის გამოძიების პირად კონტროლზე აყვანას აპირებს, რასაც „ახალგაზრდა ადვოკატები” მიესალმებიან და იმედოვნებენ, რომ გამოძიება ეფექტური იქნება.

„გვსურს გამოვეხმაუროთ საქართველოს პრემიერის გუშინდელ განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი აპირებს დაინტერესდეს ჯარისკაცების კვების საკითხით და დასვას მთავრობის სხდომაზე.

პრეს-სამსახურის თქმით, ამას ადევს გრიფი საიდუმლო. თუმცა, ამ საკითხს საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე არ უნდა ედოს გრიფი საიდუმლო.”- განაცხადა „რეპორტიორის” პრეს-კლუბში მარიკა არევაძემ. მისი თქმით ბოლო მონაცემებით სულ შვიდასამდე ჯარისკაცია მოწამლული.

„დღეის მდგომარეობით მოწამლულია შვიდსამადე ჯარისკაცი. ამას ჯარისკაცების ოჯახის წევრები გვიდასტურებენ. ჩვენ უკვე მივმართეთ კვების პროდუქტების კომპანიას.

თავდაცვის სამინისტროში თავიდან ამას არ ადასტურებენ, მაგრამ კვების პროდუქტების კომპანიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჯარისკაცები მართლაც იყვნენ მოწამლული. ვფიქრობთ რომ გამოძიება ეფექტურად არ მიმდინარებს.

იმედი გვაქვს, რომ ბატონი ბიძინა დაინტერესდება და პირად კონტროლზე აიყვანს ამ საკითხს. ამ პრობლემის დინამიკა უფრო მატულობს და ვიმედოვნებთ, მთავრობის სხდომის შემდგომ თავდაცვის მინისტრი უფრო დეტალურ ინფორმაციას მოგვაწვდის.”- განაცხადა „ახალგაზრდა ადვოკატების”ხელმძღვანელმა.

reportiori.ge

17 ოქტომბრის განცხადება

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტების გამოძიებისთვის მთავარ პროკურატურას მიმართა

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა,“ ბოლო სამი თვის განმავლობაში, საქართველოს შეიარაღებულ ძალების სამხედრო მოსამსახურეთა კვების სფეროში არსებული საგანგაშო ვითარების შესახებ, არაერთი განცახდება გაავრცელა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, უხარისხო საკვების მიღების შედეგად შვიდასამდე ჯარისკაცი მოიწამლა. კვებითი ინტოქსიკაციის უმძიმესი ფაქტები დაფიქსირდა ვაზიანის, სენაკისა და ქუთაისის სამხედრო ბაზებზე, აგრეთვე, ოცდამეტერთმეტე ქარხანასთან არსებულ სამხედრო დანაყოფსა და საინჟინრო ბრიგადაში. ჯარისკაცების მასობრივი მოწამვლის ბოლო ფაქტს მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს ჰქონდა ადგილი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ორგანიზაციის განცხადებებს დაუსაბუთებული უწოდა, თუმცა, მოგვიანებით, თავადვე დაადასტურეს, რომ სამხედრო მოსამსახურეთა მოწამვლის ფაქტებზე სამხედრო პოლიციაში მიმდინარეობდა გამოძიება.

სამხედრო მოსამსახურეთა მოწამვლის ფაქტების მზარდი დინამიკა ცალსახად მიუთითებს, რომ თავდაცვის სამინისტრო არანაირ ქმედითი ნაბიჯებს არ დგამს სიტუაციის გამოსწორების კუთხით, ხოლო შიდა უწყებრივი გამოძიება ატარებს ფორმალურ ხასიათს, რადგან დღემდე არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

„ახალგაზრდა ადვოკატებს” მიგვაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროში აშკარად იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი და სიტუაციის გამოსწორების არანაირი პერსპექტივა არ ჩანს, ვინაიდან თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ „ქართული კვების კომპანიას” მართავს თავდაცვის მინისტრის მეუღლის მეჯვარე და უახლოეს მეგობარი, ქალბატონი ეკა ხურციძე, ხოლო სამხედრო პოლიციის საგამოძიებო სამმართველოს უფროსად დანიშნულია წარსულში კორუფციისთვის ნასამართლევი მიხეილ ჭანუყვაძე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარი პროკურორი ვალდებულია, ესოდენ აშკარა ინტერესთა კონფლიქტის აღმოსაფხვრელად, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები გამოსაძიებლად უშუალოდ პროკურატურის ორგანოებს დაუქვემდებაროს.

ამასთან „ახალგაზრდა ადვოკატები“ მივმართავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს თავდაცვის სამინისტროში არსებული საგანგაშო მდგომარეობა, ვინაიდან საკითხი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და სახელმწიფო უსაფრთხოებას ეხება.

P.S ორგანიზაციის მხრიდან აღნიშნული განცხადება მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს პრემიერ—მინისტრთან მედიის შეხვედრის დროს. ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ გააკრიტიკა საქართელოს თავდაცვის სამინისტრო და მოითხოვა ჯარისკაცების მოწამვლის საქმეზე „გრიფით საიდუმლოს“ მოხსნა. პრემიერის დაინტერესების შემდეგ, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებს საქართელოს მთავარი პროკურატურა შეისწავლის.

7 ოქტომბრის განცხადება

თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის უსაფრთხოების ძირეულ კონტროლს მოითხოვს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“, ბოლო სამი თვის განმავლობაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის გახშირებულ ფაქტებთან დაკავშირებით საჯარო განცხადებებს აკეთებს, თუმცა დღემდე რეაგირების გარეშე რჩება ფაქტებთან დაკავშირებული მიმართვები, ლოჯისტიკის სფეროში სამართლებრივი და სისტემური პრობლემები კი ისევ გრძელდება.

ორგანიზაციამ, 31 ივლისსა და 28 ოქტომბერს, საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია 1) სენაკის სამხედრო ბაზაზე, ივლისის თვეში 52 ჯარისკაცის მოწავლისა და 2) 16—22 სექტემბრის შუალედში, 31—ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე—11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში 330 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტები. პირველი შემთხვევა სამინისტრომ დაადასტურა, მეორე ფაქტთან დაკავშირებით კი, სამინისტრომ საჯარო განცხადებაში, კომენტარი არ გააკეთა. ორგანიზაცია კვლავ ფლობს ინფორმაციას ჯარისკაცების საკვები პროდუქტებით მოწამვლასთან დაკავშირებით. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შემთხვევა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, I ქვეით ბრიგადაში მოხდა. მიღებული ინფორმაციით, კვებითი ინტოქსიკაციით მოიწამლა 20 სამხედო მოსამსახურე.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ დაიწყოს სამხედრო ნაწილებში არსებული სასადილოების შემოწმება, მათ შორის ჰიგიენური ნორმების დადგენის მიზნით და უმკაცრესად დაისაჯონ პირები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სფეროს გამართულ მენეჯმენტს და უმოქმედობით ზიანს აყენებენ, როგორც სამინისტროს, ასევე საჯარისო ნაწილებს. ორგანიზაციას გააჩნია ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გაუმართავია ინფრასტრუქტურა რამდენიმე სამხედრო ნაწილში. მაგალითად, მარნეულსა და ვაზიანის შენაერთებში არსებობს სასადულოებისა და საშხაპეების ნორმალური ფუნქციონირების პრობლემები. მართალია, ვაზიანის სამხედო ბაზა გარემონტდა, თუმცა არსებული მდგომარეობით, გაუმართავია საკანალიზაციო სისტემა. ყოველივე ეს, სერიოზულ დისკოფორტს ქმნის ჯარისკაცებისათვის და მომსახურე პერსონალთათვის.

ორგანიზაცია მომავალშიც გამოავლენს შემთხვევებს და მიუთითებს საჯარო უწყებას, მიიღოს შესაბამისი ზომები პრობლემების აღმოსაფხვრელად. სამწუხაროდ, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები, მხოლოდ მიუთითებს საქართველოს შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებაში არსებულ პრობლემების გამოუსწორებლობაზე. მართალია, კომპანია „ქართული კვების“ მენეჯმენტი შეიცვალა, რომელიც თავდაცვის სფეროში კვებითი უზრუნველყოფის მიმართულებით, ერთ—ერთი მთავარი კონტრაქტორია, თუმცა სამხედრო მოსამსახურეების საკვები პროდუქტებით მოწამვლის ფაქტი კვლავ რეალობაა. ორგანიზაცია სამინისტროს მიმართავს, დააყენოს კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობა და თითოეული გამოვლენილი შემთხვევის მიმართ, ჰქონდეს მკაცრი რეაგირება. ორგანიზაციას კომპანიის მიმართ უკვე გააჩნია შესაბამისი შეკითხვებიც:

1. რა პრობლემები მოაგვარა ან ვერ მოაგვარა კომპანია „ქართული კვების“ ახალმა მენეჯმენტმა?
2. რამდენად შეძლო კომპანიამ პრიორიტეტად გამოცხადებული კვების ხარისხის ზრდა და მუშა პროცესების შეპირებული მმართვა?
3. რამდენად სრულყოფილად მოხდა დაპირებული სასადილოების პერსონალის ინდივიდუალური საქმეების შესწავლა და რა საკადრო ცვლილებები განხორციელდა ამ მიმართულებით?
4. რომელ საჯარისო ნაწილებში დაასრულდა სასადილოების რემონტი, რა პერიოდი დასჭირდა თითოეული სასადილოს მოწესრიგებას?
5. ვის მიერ და რა პერიოდულობით მოწმდება შინაგანაწესი, რომელიც პერსონალს მაღალ ჰიგიენურ სტანდარტს ავალდებულებს, გამოვლინდა თუ არა გადაცდომები ასეთი შესაძლო კონტროლის პროცესში?
6. რა კონტროლის მექანიზმია ჩართული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის შესამოწმებლად? მონაწილეობს თუ არა კონტროლის მექანიზმში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო?
7. რამდენად მაღალი ჰიგიენური სტანდარტებით გამოირჩევა ადგილები, სადაც დასაწყობებული სკავები პროდუქტები ინახება?
8. რა ღირებულების შესყიდვებს ანხორციელებს „ქართული კვების კომპანია?“

თუკი სამინისტროს შესაბამის რეაგირება „ქართული კვების“ კომპანიის მენეჯმენტის საქმიანობაზე მხოლოდ იმ მიზეზით არ ხდება, რომ კომპანიის დირექტორის მოადგილე, ეკა ხურციძე მინისტრის ოჯახის ახლობელია, ასეთი მიდგომები კიდევ უფრო მეტად დააზიანებს საერო საქმეს. ამიტომაც, მივმართავთ სამინისტროს გენერალური ინსპექციას, სამხედრო პოლიციას, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ხარისხის კონტროლის განყოფილების შესაბამისს წარმომადგენლებს, რომ უპასუხოდ არ დატოვოს ლოჯისტიკის გამართულობასთან დაკავშირებული არც ერთი კითხვა.

18 ოქტომბრის განცხადება

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებებთან დაკავშირებით

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ვეხმაურებით საქართველოს პრემიერ—მინისტრის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის 17 ოქტომბრისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ბატონ ირაკლი ალასანიას 18 ოქტომბრის განცხადებას, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 18 ოქტომბერს გავრცელებულ საჯარო შეფასებას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებთან მიმართებით.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრემიერ—მინისტრის პოზიცია პასუხობს საზოგადოების ინტერესებს. დასაბუთებას და განმარტებას მოითხოვს ჯარისკაცების მოწამვლის საქმეზე გრიფით „საიდუმლოს” დადების მიზანშეწონილობა. ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება მალე დასრულდება და საზოგადოება პრობლემის შესახებ დასაბუთებულ დასკვნას მიიღებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ვეხმაურებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებას, ხოლო მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, უშუალოდ საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ბატონ ირაკლი ალასანიას შეფასებებს. ჩვენს გაკვირვებას იწვევს მინისტრის ზოგიერთი შეხედულება, რომლის თანახმადაც, „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ სხვადასხვა პერიოდში გავრცელებული განცხადებები ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტების შესახებ, შეფასებულია, როგორც პროვოკაცია და ცრუ ინფორმაცია. მინისტრი მიუღებლად და დანაშაულად მიიჩნევს საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით მიზანმიმართულ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას. მისივე სიტყვებით, არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც ის არ უყვართ, არ მოსწონთ, თუმცა კრიტიკა აბსოლუტურად მისაღებია, როგორც დემოკრატიის ნაწილი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს თავდაცვის მინისტრს მოვუწოდებთ, ორგანიზაციის უფლებადაცვითი საქმიანობის მიმართ გამოიჩინოს მეტი ყურადღება და კოლეგიალობა, რადგანაც დემოკრატიულ საზოგადოებაში, სწორედაც პრობლემებზე ღია მსჯელობა, დისკუსია და შეცდომების აღიარებაა მართველის მთავარი მაღალი პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობის გამომხატველი და არა არაკეთილმოსურნეების ძიება და სიტყვებით თამაში. ორგანიზაცია პასუხისმგებელია ყველა საჯარო განცხადებასა და პოზიციაზე, რომელმაც საჯარისო ნაწილებში, სამხედროების მოწამვლის ცალკეულ შემთხვევები გამოამზეურა. მიგვაჩნია, რომ შემთხვევებთან დაკავშირებით, დასმული მთავარი შეკითხვები, ჩვენთვის ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. ბატონო მინისტრო, ჩვენ გვაქვს შეკითხვების დასმის, პრობლემებზე მსჯელობის, მათ შორის თქვენი უწყების კონტროლის უფლება, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ხოლო ფაქტებით, მტკიცებულებებითა და ანალიზით მსჯელობა, რომელსაც სამართლიანად მოითხოვთ, ჩვენი პროფესიული ვალდებულებაცაა. ჩვენ გვაქვს ყველა ჩვენს საჯარო აქტიურობაზე არგუმენტები და დასაბუთება. ამიტომაც, გვსურს, ვიდრე ლოჯისტიკის სფეროში არსებულ პრობლემებზე მსჯელობას დანაშაულის კატეგორიად მიიჩნევდეთ, გვემსჯელა ასეთი დანაშაულის ნიშნების არსებობაზე. ასევე უმჯობესი იქნებოდა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მხრიდან ყურადღება გამახვილებულიყო „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ გამომგზავნილ არა მხოლოდ 17 აგვისტოს წერილზე. ორგანიზაციამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მართლაც, არაერთი წერილით მოგმართათ, მათ შორის პროექტ „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ფარგლებში ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის შესახებ, თუმცა ჩვენთვის, მხოლოდ 17 ოქტომბერს, პრემიერთან მედიის წარმომადგენლების შეხვედრაზე გახდა ცნობილი, რომ სამხედრო ჯარისკაცების მოწამვლის საქმე გრიფით „საიდუმლოს“ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. სამინისტროს ორგანიზაციის მიმართ გამოგზავნილ არც ერთ საპასუხო წერილში ამის შესახებ მითითებული არ ყოფილა. ჩვენთვის საქმის „გრიფირება“ სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რაც, კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ სამინისტროს ლოჯისტიკის სფეროში არსებული სამართლებრივი და სისტემური პრობლემები ირიბად დადასტურებულია.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საჯარისო ნაწილებში არსებული პრობლემებისა და ცალკეული შემთხვევების მიუხედავად, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ბატონი ირაკლი ალასანია, ერთ—ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეა, რომელსაც გააჩნია მაღალი პროფესიონალიზმი და საჭირო გამოცდილება საქართველოს მომავლისათვის. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ცალსახად ვაფიქსირებთ მინისტრის მიმართ პატივისცემას, თუმცა ამის მიუხედავად, მივუთითებთ, რომ ჩვენი უფლებადაცვითი საქმიანობა და პოზიციების ფორმირება ვერ იქნება რომელიმე საჯარო პოლიტიკური მოღვაწის მიმართ პირადი შეხედულებებით განპირობებული. ჩვენთვის მთავარია ძლიერი ინსტიტუციები, სისტემური ცვლილებები და ამ პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ უახლოეს პერიოდში საზოგადოებას სპეციალურ ანგარიშს წარუდგენს, სადაც დეტალურად შეფასდება ორგანიზაციის საჯარო განცხადებები ჯარისკაცების მოწავლის ფაქტების შესახებ, სამინისტროსადმი გაგზავნილი და სამინისტროდან მიღებული წერილების შინაარსი, „ქართული კვების კომპანიასთან“ ორგანიზაციის კომუნიკაცია, ლოჯისტიკის სფეროს სხვადასხვა უფლებამოსილი პირების მიერ მედიაში გამოთქმული შეფასებები და ყველა ის ინფორმაცია, რომელიც საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებას, თემასთან მიმართებით, სრულფასოვან წარმოდგენას შეუქმნის. ორგანიზაციის სურვილია, ანგარიშით საზოგადოებაში შეიქმნას და ჩამოყალიბდეს სწორი შინაგანი რწმენა — საჯარისო ნაწილებში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე, კერძოდ ფაქტების გასაჯაროება წარმოადგენს დანაშაულს, პროვოკაციას, მიზანმიმართულ ქმედებას თუ გამოხატავს ორგანიზაციის თანმიმდევრულ, პრინციპულ და ობიექტურ საქმიანობას.

ირაკლი ალასანიას კომენტარი

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტების პრემიერთან შეხვედრისას წამოჭრილ თემაზე კომენტარი გააკეთა. პრემიერ—მინისტრ ბიძინა ივანიშვილისა და გაზეთებისა და რადიოების მთავარ რედაქტორებტან შეხვედრაზე აღინიშნა, თითქოს ჯარში 700 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტი მოხდა. პრემიერმა აღნიშნულ თემაზე დეტალების გასაჯაროება მოითხოვა. ირაკლი ალასანია ჯარისკაცების მასობრივად მოწამვლის ფაქტს სიცრუედ და მიზანმიმართულ პროვოკაციად აფასებს.

„ჩემთვის აბსოლუტურად უცხო არ არის, რომ არსებობს კატეგორია ხალხის, რომლებსაც არ ვუყვარვართ, არ მოვწონვართ. კრიტიკა ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია, ჯანსაღია და ეს დემოკრატიის ნაწილია. მაგრამ, ჩემთვის მიუღებელია და დანაშაულად მიმაჩნია, როდესაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე მიზანმიმართულად ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ. დღეს საქართველოს ყავს შეიარაღებული ძალები, რომელსაც შეუძლია მოწინააღმდეგეს გასცეს საკადრისი პასუხი. დღეს შეიარაღებულ ძალებს აქვს უკეთესი ხელფასი, აცვია უკეთესი ფორმა, აქვს უკეთესი კვება და რაც მთავარია, შეიარაღებული ძალები დღეს აპოლიტიკურია. ეს არის ამ მთავრობის ყველაზე დიდი მიღწევა და დარწმუნებული ვარ, რომ ჯარშიც და საზოგადოებაშიც ადეკვატური ინფორმაცია არსებობს ამის შესახებ. ჩემთვის ყველაზე დიდი პატივი სწორედ ის არის, რომ ვემსახურები იმ ადამიანებს, ვინც იცავს სამშობლოს. ჩვენ ვპროგრესირებთ, გვაქვს უმაღლესი შეფასება, როგორც ნატოსგან, ასევე ყველა პარტნიორი ალიანსი ქვეყნის წარმომადგენლებისგან. ჩვენი გზა არის ევროპისკენ და ნატოსკენ და ამ გზაზე ვერანაირი ასეთი პატარა ვნებათაღელვა და პროვოკაცია ვერ შეგვაჩერებს.

ეს არის ცრუ ინფორმაციების გავრცელება. რაც შეეხება თვითონ ფაქტების ანალიზს და შესწავლას, სამხედრო პოლიცია ამაზე მოკვლევას აწარმოებს, ძალიან მალე ამ ყველაფერს გადავუგზავნით პროკურატურას და უკვე გამოძიება გაგცემთ პასუხს”, - განაცხადა ირაკლი ალასანიამ და განმარტა, რომ საქართველოს შეიარარებულ ძალებს დღეს აქვს უკეთესი ფორმა, აქვს უკეთესი კვება და რაც მთავარია, დღეს ის არის აპოლიტიკური.

კვლევა

რწმენისა და აღმსარებლობის შესაძლებლობა საქართველოში – კვლევისა და სარეკომენდაციო პაკეტის პრეზენტაცია

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „რწმენისა და აღმსარებლობის შესაძლებლობა საქართველოში“ კვლევის პრეზენტაცია და თემაზე სადისკუსიო მრგვალი მაგიდა გამართა. ორგანიზაციამ წარმოადგინა სარეკომენდაციო პაკეტი საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, საქართველოს საპატრიარქოსა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების რედაქტორების მიმართ, სადაც საუბარი რელიგიურ კონფესიებს შორის ტოლერანტული გარემოს შექმნისთვის საჭირო მოქმედებების აუცილებლობაზეა საუბარი. ორგანიზაციამ კვლევაში ფართოდ წარმოაჩინა ცოტა ხნის წინ, ნიგვზიანში, წინწყაროში, სამთაწყაროსა და ბოლოს უკვე, 2013 წლის 26 აგვისტოს, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში რელიგიურ ნიადაგზე შექმნილი სირთულეების ანალიზი. კვლევის ავტორთა შეფასებით, ნიგვზიანში, წინწყაროში, სამთაწყაროსა და ბოლოს უკვე ჭელაში მოვლენებმა აჩვენა, რომ საზოგადოებაში არსებობს განსხვავებული აზრისა და მოთხოვნილებების მიმართ, ამ შემთხვევაში, რელიგიური უმცირესობების მიმართ, შეუმწყნარებელი დამოკიდებულება, ანტაგონისტური გარემო, რომლის აღმოფხვრასაც, სახელმწიფოს მხრიდან, შესაბამისი მხარდაჭერა სჭირდება.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სოფელ ჭელაში, მანამდე კი ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში, უხეშად დაირღვა მუსლიმთა უფლებები. არასათაანდო ძალის გამოყენებით, ადგილი ჰქონდა მორწმუნეების ფიზიკურ შეურაცხყოფასაც. მუსლიმი მრევლის მიმართ სხვადასხვა შემთხვევების დროს განხორციელებული მუქარის, რელიგიური რიტუალისთვის ხელშეშლის, მათი დევნის ფაქტებს არც ერთ შემთხვევაში არ მოჰყოლია შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, რაც ზრდის შესაძლებლობას, ინციდენტების განმეორების შემთხვევაში, ანტაგონისტურად განწყობილ ადამიანებში ძალადობის წახალისება გამოიწვიოს. ამასთან, შესაძლებელია, ასეთმა „დაუსჯელობის სინდრომმა“ მუსლიმთა შევიწროვების პერიოდულ ხასიათს მყარი საფუძვლები შეუქმნას. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მუსლიმი მრევლის რელიგიური თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვისა და დისკრიმინაციის ფაქტებიდან, ჭელას შემთხვევა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის მთავარი შემთხვევა იყო.

მომზადებული დოკუმენტი მცდელობაა, უპასუხოს კითხვებს: რამდენად ობიექტურია დასახელებული წინაპირობები, რომელიც კონფესიებს შორის დაძაბულობას და შეუმწყნარებლობას იწვევს, რელიგიურ ნიადაგზე არსებული პრობლემები აჩვენებს რეალურ დაპირისპირებას თუ მიუთითებს საკითხის ხელოვნურ გამწვავებაზე, რამდენად უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, რა პასუხისმგებლობა აკისრია საქართველოს საპატრიარქოს, ცალკეულ კონფესიებსა და სამთავრობო უწყებებს რელიგიურ ნიადაგზე არსებულ შესაძლო პრობლემების გადაჭრისათვის, რამდენად დაინტერესებულია რელიგიურ ნიადაგზე შესაძლო კონფლიქტით ისლამური სახელმწიფოები, აქტიური სოციალური ჯგუფები და საქართველოსთან მტრულად განწყობილი ქვეყნები, რა ეროვნული მექანიზმი და რესურსი არსებობს იმისთვის, რომ მიღებულ იქნეს რელიგიურ ნიადაგზე შესაძლო დაძაბულობების პრევენცია და ქვეყანაში არსებობდეს თანასწორუფლებიანი აღმსარებლობის გარემო, სხვა.

ორგანიზაციამ საკითხთან დაკავშირებით, რვა რეკომენდაცია შეიმუშავა. კვლევის პრეზენტაციას სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებთან ერთად, საკითხის სპეციალისტები, უფლებადამცველები და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „ახალგაზრდა ადვოკატები“ სარეკომენდაციო პაკეტს შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის ინსტიტუციებს 7 ოქტომბერს გადაუგზავნის.



კვლევის სარეკომენდაციო ნაწილი

საქართველოს საპატრიარქოს, საქართელოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების რედაქტორებს

საპატრიარქოს მიმართ

რეკომენდაცია №1 - მნიშვნელოვანია, საქართველოს საპატრიარქომ გააძლიეროს ინტერრელიგიური ჯგუფის მუშაობა, რომელიც სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს შორის გააღრმავებს ურთიერთობებს, ხელს შეუწყობს წარმოშობილი პრობლემების ეფექტურ გადაჭრას და საყურადღებო საკითხების მიმართ, უზრუნველყოფს მრევლის ინფორმირებას. ინტერრელიგიურმა ჯგუფმა არ უნდა დაუშვას საქართველოში, რელიგიურ ნიადაგზე რაიმე სახის კონფლიქტის არსებობა და სათანადო რეაგირება მოახდინოს გარე ძალების ზემოქმედებაზე მორწმუნეებს შორის შუღლისა და დაპირისპირების გაღვივების მცდელობებისთვის.

რეკომენდაცია №2 — მნიშვნელოვანია, საქართველოს საპატრიარქომ სხვადასხვა კონფესიებთან ინსტიტუციური დიალოგის დროს, ერთობლივი ძალებით, განახორციელოს სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მოქალაქეთა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობდა ტოლერანტობის, რწმენის თავისუფლებისა და რელიგიური შემწყნარებლობის პრინციპების გაძლიერებას. ამასთან, საპატრიარქოს ხელმძღვანელობით, შესაძლებელია, საქართველოში არსებულმა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებმა მიიღონ ერთობლივი კომუნიკე, რომელიც მორწმუნეებისთვის გახდებოდა გასათვალისწინებელი დოკუმენტი და იქნებოდა პირველი სერიოზული პრევენცია რელიგიურ ნიადაგზე შესაძლო დაძაბულობების პრევენციისათვის.

რეკომენდაცია №3 - საქართველოს ეკლესიამ უნდა გააძლიეროს მრევლის სამოქალაქო განათლების ამაღლებაზე ზრუნვა და იმავდროულად, კარგად იქნეს შეფასებული, საერო და სასულიერო პირთა ურთიერთჩაურევლობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფო კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებიდან და არ რეგულირდება საეკელსიო სამართლით დადგენილი წესებითა და მოქმედებებით.

საქართველოს მთავრობის მიმართ

რეკომენდაცია №4 - საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს თანაზომიერი, სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც არ ლახავს მოქალაქეთა რელიგიურ გრძნობებს და სრულად იცავს რწმენისა და აღმსარებლობის კონსტიტუციურად გარანტირებულ უფლებას. საქართველოს მთავრობის ვალდებულებას წარმოადგენს, უზრუნველყოს ეფექტური გამოძიება და პასუხისმგებლობის საკითხის დასმა 2012 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და 2013 წლის აგვისტოს რელიგიურ ნიადაგზე წამოჭრილ დავებში, ყველა კანონდამრღვევი პირის გამოვლენის მიმართულებით. დაუშვებელია შერჩევითი დამოკიდებულება, რომელიც, პრობლემის განმუხტვით, ვერ უზრუნველყოფს საკითხზე სამართლიანობის აღდგენას. ამასთან, მთავრობამ ეფექტური ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა აღარ მოხდეს, კონკრეტულ რეგიონებში რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევა, რათა აღარ მოხდეს ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები, რასაც უკვე ადგილი ჰქონდა განხულულ უთხივე შემთხვევაში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უნდა მოუწოდოს ადგილობრივ თვითმმართველობებს, რათა მეტი ყურადღება გამოიჩინონ მათ რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და არ დაუშვან ადგილობრივ დონეზე, რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების არსებობა.

სახელმწიფომ თავისი პოზიტიური ვალდებულება უნდა შეასრულოს და მყისიერად მოახდინოს ჩარევა ყველა კონკრეტულ სიტუაციაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რელიგიის თავისუფლებით ეფექტური სარგებლობა.

რეკომენდაცია №5 - მთავრობამ უნდა შეამოწმოს და დაადგინოს საქმიანობის განხორციელებით აღჭურვილი პირების კვალიფიკიურობის საკითხი. დაუშვებელია, საჯარო მოხელე ან საჯარო ხელისუფლების განხორციელების მქონე პირი წარმოადგენდეს არაკვალიფიციურ პიროვნებას, რომელიც მიღებული გადაწყვეტილებების დროს არ ხელმძღვანელობს მოქმედი სამართლით და უპირატესობას ანიჭებდეს საკითხისადმი ტრადიციულ მიდგომებს.

საქართველოს პარლამენტის მიმართ

რეკომენდაცია №6 - საქართველოს პარლამენტმა უნდა დახვეწოს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ არსებული კანონმდებლობა და შექმნას/შემოიტანოს საერთაშორისო სტანდარტი/გამოცდილება, რომელიც ერთი მხრივ, დაიცავს რელიგიური უმცირესობების უფლებებს, მეორე მხრივ გაამკაცრებს რელიგიური უმცირესობების მიმართ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედებების მიმართ პასუხისმგებლობას და სანქციას. ამასთან, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ორგანომ მოამზადოს საკანონმდებლო ინიციტივა, რომელიც განსაზღვრავს, დააზუსტებს და მკაფიოდ გახდის რელიგიური და საკულტო ნაგებობების მშენებლობის რეგულაციას და ამ მიმართულებით, აღმოფხვრის საკანონმდებლო ხარვეზსს.

საქართველოს სასამართლოების მიმართ

რეკომენდაცია №7 - სასამართლო ორგანომ უნდა გამორიცხოს რელიგიური უმცირესობების უფლებების დავების განხილვასთან დაკავშირებით შერჩევითი დამოკიდებულება და გადაწყვეტილებები დააფუძნოს მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. დაუშვებელია ლმობიერი დამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება საზოგადოებრივი აზრს და არა სამართლებრივ სინამდვილეს.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების რედაქტორებს

რეკომენდაცია №8 — მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ დაბალანსებული და დაზუსტებული ინფორმაციის მომზადება, როდესაც გაშუქება რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას და პრობლემური საკითხებს ეხება. მედიამ არ უნდა უზრუნველყოს „სიძულვილის ენის“ გავრცელება რელიგიური კონფესიების საქმიანობისა და მორწმუნეების მიმართ. მედია განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების წარმოჩენას საზოგადოებას და მყისიერად მოახდინოს, ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

მრგვალი მაგიდა

რას მოუტანს პრეზიდენტის მასშტაბური შეწყალება საზოგადოებას?

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინიციატივითა და სპეციალისტების მონაწილეობით, 2013 წლის 25 ოქტომბერს, თემაზე: „რას მოუტანს პრეზიდენტის მასშტაბური შეწყალება საზოგადოებას?“, მრგვალი მაგიდა გაიმართა. ორგანიზაციამ ყურადღება დაუთმო საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში არსებულ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შეფასებას მიღებულ შეწყალებებისა და ამნისტიების ნაწილში. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა განიხილეს პრეზიდენტის ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ყველაზე მასშტაბური — 2013 წლის 19 აგვისტოს განხორციელებული შეწყალება, რა დროსაც 18.000 ათასამდე მოქალაქეს პირობითი მსჯავრი და ნასამართლეობა მოეხსნათ.

ინიციატივის მიხედვით, შეწყალება შეეხო ისეთ პირებს, რომლებსაც ჩადენილი აქვთ ისეთი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, როგორიცაა: გაუპატიურება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება, ყაჩაღობა, ნარკოტიკული დანაშაულები და სხვა. ასეთ დანაშაულებისათვის მსჯავრდებულ პირთა შეწყალება, საქმეების ინდივიდუალურად შესწავლის და იმის დადგენის გარეშე, რომ მსჯავრდებული თავისი ქმედებით და ცხოვრების წესით ნამდვილად იმსახურებს შეწყალებას, შესაძლოა მოქალაქეებმა აღიქვან, როგორც რიგი მძიმე დანაშაულებისდმი სახელმწიფოს ლოიალური პოლიტიკის გამოხატულება. შეწყალების აქტზე საქართველოს კანონმდებლობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამნისტიისგან განსხვავებით, შეწყალება არის საქმის ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე მიღებული აქტი, რასაც წინ უნდა უძღოდეს მსჯავრდებულის საქმის დეტალური გამოკვლევა. პრეზიდენტის ინიციატივა კი აღნიშნულ პრინციპს ეწინააღმდეგება. იმ პირობებში, როდესაც არ მოხდება საქმეების დეტალურად შესწავლა, საფიქრალია, ხომ არ მოახდენს ნასამართლობის გაქარწყლება შემდგომი დანაშაულის ფაქტობრივ წახალისებას - რეციდივის შემთხვევაში დამნაშავისათვის შედარებით ლმობიერი სასჯელის გარანტირებით?

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ საქართველოს პრეზიდენტი, წლების განმავლობაში, თავად იყო მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების ინიციატორი და მხარდამჭერი, ხოლო არჩევნებამდე ორი თვით ადრე ასეთი მასობრივი შეწყალების ინიციატივით გამოსვლა, ავტომატურად ბადებს ეჭვს, რომ პრეზიდენტის ქმედება არა უბრალოდ ჰუმანური ნაბიჯი, არამედ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი შეიძლება იყოს. მნიშვნელოვანია იმის გათავისებაც, რომ კოპენჰაგენის ფუნდამენტური დოკუმენტი ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოს სახელისუფლებო და პარტიული საქმიანობის გამიჯვნა და არ დაუშვას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება პარტიული მიზნებისათვის. რამდენად შეესაბამება კოპენჰაგენის ფუნდამენტური დოკუმენტის მოთხოვნებს საქართველოს პრეზიდენტის მასშტაბური შეწყალების გადაწყვეტილება? გატარებული მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდეგ, არის თუ არა 18 000 პირის შეწყალება, უბრალოდ, პრეზიდენტის ჰუმანური გადაწყვეტილება თუ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი? მრგვალი მაგიდის მოანწილეებმა, ამ თემაზე, განსხვავებული მოსაზრებები წარმოადგინეს.

ამასთან, შეხვედრაზე განხილულ იქნა პარლამენტის ამნისტიისა და პრეზიდენტის შეწყალების ინიციატივების შედარება და შესაძლო შედეგები. მრგვალი მაგიდის განხილვის ერთ—ერთი თემაა გახლდათ მასშტაბური შეწყალებების გავლენა მართლმსაჯულების ავტორიტეტსა და ეფექტურობაზე და პატიმრების ფსიქოლოგია. ამასთან, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი და პოლიტიკური პრაქტიკა შეწყალებებსა და ამნისტიასთან დაკავშირებით.

სადისკუსიო შეხვედრაზე მოანწილეობას იღებდა მოწვეული სპიკერები, სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები, უფლებადამცველები, არასამთავრობო სექტორი, ექსპერტები, პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები და თემით დაინტერესებული მედია.

მრგვალი მაგიდა

„ევროკავშირის სტანდარტები, ვაჭრობა და კონკურენცია საქართველოში“

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ორგანიზებით, თემაზე „ევროკავშირის სტანდარტები, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია საქართველოში“, 2013 წლის 12 ოქტომბერს, კონფერენცია გაიმართა. მრგვალ მაგიდაში მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს კანონის ეფექტურობა და ნაკლოვანებები თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სფეროში; ევროპაში არსებული მაკონტროლებელი კომისიები; თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სფეროში არსებული ევროკავშირის სტანდარტები; ქართულ სინამდვილეში მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების საკითხი, საქართველოს მთავრობის მიერ შესყიდვებისა და კონკურენციის სფეროში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი და სხვა. კონფერენციაზე სპეციალისტების მიერ გამოითქვა მოსაზრებები, რომელიც ემსახურებოდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სრულყოფის აუცილებლობას, პოლიტიკური ნების საჭიროებას ფარული მონოპოლიებისა და კარტერული გარიგებების გამოსავლენად, ანტიმონოპოლიური მარეგულირებელი სტრუქტურების შექმნას, ხოლო არსებულის გაძლიერებას, სახელმწიფოს როლს კონკურენციის რეგულირების მიმართულებით, საკანონმდებლო სანქციების ფორმებსა და საერთაშორისო პრაქტიკაში, ამ მიმართულებით, არსებული მდგომარეობის გადმოცემას. აგრეთვე, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ მოქმედ კანონში არსებული ზოგიერთი ხარვეზის აღმოფხვრას და მიახლოებას ევროპულ სტანდარტებსა და გამოცდილებასთან.

საკითხზე: „საქართველოს კანონის ეფექტურობა და ნაკლოვანებების შეფასება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სფეროში“ მოხსენება წარმოადგინა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ლექტორმა, ილია მეშველდიშვილმა, „ევროკავშირის ატიმონოპოლიური კანონმდებლობა — ინსტიტუციები და სტანდარტები“ — ისაუბრა საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის ხელმძღვანელმა, შალვა საბაურმა, „კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა და ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში“ საკითხი წარმოადგინა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების საააგენტოს კონკურენციის დეპარტამენტის უფროსმა, მანანა შურღულაიამ, ხოლო „ქართული მონოპოლიური კომპანიები, მონოპოლია თუ ოლიგოპოლია“, თემაზე ვრცლად ისაბრა ეკონომიკის ექსპერტმა, ვაჟა ბერიძემ. კონფერენციას, აგრეთვე ესწრებოდნენ: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ეკონომიკის ექსპერტები. კონფერენციის წარმატებულ ნაწილად ჩაითვალა სადისკუსიო ეტაპი, რა დროსაც საკითხთან დაკავშირებით, არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება და შეფასება გამოითქვა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას სარეკომენდაციო პაკეტს შესთავაზებს, სადაც ადგილს, კონფერენციაზე გამოთქმული შეხედულებებიც დაიჭერს. ორგანიზაცია აუცილებლობად მიიჩნევს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სრულყოფას და საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სფეროში არსებული მიდგომებისა და პრობლემური მხარეების დაძლევას, სფეროს დაახლოებას ევროკავშირის მოთხოვნებთან და რეკომენდაციების შესრულების ხარისხის შეფასებას შემდგომი ძირეული ცვლილებებისათვის. „ახალგაზრდა ადვოკატები“ სარეკომენდაციო პაკეტს 2013 წლის ბოლომდე გამოაქვეყნებს.

ორგანიზაციის მიერ მომზადებული კონფერენციის საინფორმაციო მხარდამჭერები რადიო „კომერსანტი“ და ერთადერთი ეკონომიკური გაზეთი საქართველოში „ბანკები და ფინანსები“ გახლდათ.

სოციოლოგიური კვლევა

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სოციოლოგიურ გამოკითხვაში 47%-ს გიორგი მარგველაშვილი, 15%-ს დავით ბაქრაძე, 12%-ს კი ნინო ბურჯანაძე მოსწონს

გამოკითხვა 5-6 ოქტომბრის მდგომარეობით

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვაში, გიორგი მარგველაშვილი, დავით ბაქრაძე და ნინო ბურჯანაძე ლიდერობენ. გამოკითხვაში: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, მონაწილეობა 1000-მა რესპოდენტმა მიიღო. სოციოლოგიური კვლევა თბილისში, 2013 წლის 5-6 ოქტომბერს, ექვს სხვადასხვა ხალხმრავალ ადგილას, მოქალაქეების გამოკითხვის შერჩევითი პრინციპით ჩატარდა.

რესპოდენტებმა შემდეგ კითხვებს გასცეს პასუხი: „იღებთ თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას?“, „მომავალმა პრეზიდენტმა, რომელ ეროვნული მნიშვნელობის საკითხში უნდა შეცვალოს სტრატეგია შედეგის მისაღწევად?“, „საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე რომელი კანდიდატი მოგწონთ?“, „რომელი ინსტიტუტების შესუსტებას/გაძლიერებას გამოიწვევს საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა?“, „რა განაპირობებს საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას?“, „საჭიროებს თუ არა ქართული პოლიტიკა ახალ სახეებს?“

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, ასე გადანაწილდა:

1.იღებთ თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას?
1.დიახ- 78 %
2. არა - 14 %
3. არვიცი - 7 %
4.მიჭირს პასუხის გაცემა -1%

2. თქვენი აზრით, მომავალმა პრეზიდენტმა რომელ ეროვნული მნიშვნელობის საკითხში უნდა შეცვალოს სტრატეგია შედეგის მისაღწევად?
1. ტერიტორიული მთლიანობა- 61 %
2. სოციალური პოლიტიკა-21 %
3.საგარეო პოლიტიკური კურსი-6 %
4.დემოგრაფიული კრიზისი-3 %
5. უმცირესობების უფლებები-6
88.სხვა- 3 %

3. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე რომელი კანდიდატი მოგწონთ?
გიორგი მარგველაშვილი-47 %
დავით გაქრაძე-15%
ნინო ბურჯანაძე-12 %
შალვა ნათელაშვილი-5 %
თავი შეიკავა-18%
სხვა კანდიდატები-3%

4. როგორ ფიქრობთ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა გამოიწვევს:
1. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება- 37 %
2. ხელისუფლების კონტროლი-15 %
3. მთავრობის გავლენის შესუსტება-32 %
4. საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაძლიერება- 16 %

5.რა განაპირობებს საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას?
1. ცესკოს მიმართ ნდობა - 16 %
2. ახალი ხელისუფლებისადმი ნდობა- 30 %
3 საერთაშორისო დამკვირვებლების ყურადღება- 23 %
4. მოქალაქეების აქტივობა და რწმენა სამართლიანი არჩევნებისადმი - 31 %

6.თქვენი აზრით, საჭიროებს თუ არა ქართული პოლიტიკა ახალ სახეებს?
1. დიახ, საჭიროებს - 91 %
2. არა, არ საჭიროებს- 9 %

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სოციოლოგიურ გამოკითხვას თბილისში, ორგანიზაციის გუნდის მონაწილეობით, ორგანიზაციის მთავარი სოციოლოგი ნინო ღაჭავა ხელმძღვანელობდა. სოციოლოგიური გამოკითხვის პრეზენტაციას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, სოციოლოგები და საექსპერტო წრის წარმომადგენლები დაესწრნენ. გამოკითხვის შედეგებს, ორგანიზაცია დიპლომატიურ კორპუსს გადაუგზავნის.



ინსტიტუციური დიალოგი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მინისტრთან სოფლის მეურნეობის სფეროში ცვლილებები შეაფასეს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ პროექტ „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ფარგლებში, 2013 წლის 16 ოქტომბერს, სოფლის მეურნეობის მინისტრ შალვა ფიფიას შეხვდნენ. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მინისტრს დღეისათვის აქტუალური შეკითხვები დაუსვეს. დიალოგის მთავარი საკითხები გახლდათ: ქართული პროდუქციის გატანის საკითხი რუსეთსა და სხვადასხვა ქვეყნებში, რთველის მიმდინარეობის შეფასება კახეთში და ციტრუსის დაწყებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები აჭარაში, მოსავლის დაზღვევისა და აგროსესხების საკითხები, ქართული პროდუქციის ბედი კონკურენტულ ქართულ ბაზაზე, ფერმერთა პრობლემებისა და მათი გადამზადების შესახებ, საკითხებზე, რომელიც უკავშირდება სოფლის მეურნეობის სფეროში გატარებული რეფორმების, ინიციატივებისა და სიახლეების შეფასებას, სფეროს გამჭვირვალობასა და კონკურენტუნარიანობას.

პროექტის ფარგლებში, ეს ორგანიზაციის მიერ გამართული მეოთხე შეხვედრა გახლდათ. პროექტი აგვისტოდან დაიწყო და მის მიზანს წარმოადგენს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ინსტიტუციების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება, საჯარო უწყებების გამჭვირვალობა და ურთიერთობის უწყვეტობა საზოგადოებასთან. ამასთან, ახალგაზრდების თანამონაწილეობა საჯარო მმართველობის პროცესში და ინსტიტუციური დიალოგის, როგორც კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში.

პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია უკვე შეხვდა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრსა და ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტს.

ორგანიზაციის შეფასებით, ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან პირველი შემთხვევაა, რომელიც ახლებურად წარმოაჩენს და ხელს შეუწყობს საჯარო უწყების ანგარიშვალდებულების გაზრდას საზოგადოების წინაშე და ახლგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფას საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატრების“ პროექტი მუდმივმოქმედი ფორმატია და ყოველთვიურად, რამდენიმე შეხვედრა მზადდება. არასამთავრობო სექტორის ავტორობით, ინიციატივა ქართული სინამდვილისთვის ახალია, რომელსაც ანალოგი, მხოლოდ უნგრეთში, ესპანეთსა და ბელგიაში გააჩნია. ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ უკვე მიიღეს საჭირო კონსულტაცია აღნიშნული ქვეყნების ეროვნული ჯგუფებისგანაც და დაგეგმილია მათთან კომუნიკაციით, გამოცდილების კიდევ უფრო მეტად გათვალისწინება.

20 ოქტომბრის განცხადება

გვაქვს გამოცდილება, საქართველოს მთავრობას დავემხაროთ დაგროვებითი საპენსიო სისტემის პროცესში

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიესალმება საქართველოს მთავრობის ინიციატივას სოციალური სფეროს ერთ—ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების — საპენსიო რეფორმის დაწყებას 2014 წლიდან და დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღებას, ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო დაპირების შესრულებისკენ გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს. ორგანიზაცია გამოთქვამს მზადყოფნას, დაგროვებითი საპენსიო სისტემის განხორციელების პროცესში, აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოს მთავრობასთან, რადგანაც ორგანიზაციის სამართლის ჯგუფმა, ჯერ კიდევ 2013 წლის მაისში შეისწავლა დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესაძლებლობები, დაასაბუთა რეფორმის განხორციელების საჭიროება საქართველოში და მოამზადა პროექტი: „საპენსიო ჩარჩო კანონმდებლობის განვითარება ხანდაზმულთა კეთილდღეობისათვის“, მიზნად დაისახვა რეფორმის პროცესში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება, თუმცა ორგანიზაციის ერთ—ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის გამო, ვერ განხორციელდა. პროექტმა ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვება ვერ მოიპოვა, არადა მისი რეკომენდატორი საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი, საქართველოს სახალხო დამცველი და საკონსულტაციო ჯგუფი „ჯეპრა“ იყო. პროექტი 2013 წლის ივნისი—დეკემბრის შუალედში უნდა განხორციელებულიყო.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ვფქირობთ, რომ აუცილებელია, საქართველოს მოქალაქეები ფლობდნენ სრულყოფილ ინფორმაციას საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღების მნიშვნელობისა და სხვადასხვა ქვეყანაში ასეთი სისტემის არსებობის სიკეთეების შესახებ. ორგანიზაცია საქართველოს მთავრობას, ამ მიმართულებით, მხარდაჭერას სთავაზობს და სამოქალაქო ინფორმირების კუთხით, სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან კვლავ მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეხედულება საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღების მნიშვნელობასთან მიმართებით, კვლავინდებურად უცვლელია.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ სოციალური სფერო და საციალური საკითხები, ერთ—ერთ პრობლემურ საკითხად რჩება, რადგანაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შესაბამისი სოციალური დაცვის გარანტიების შექმნა საკუთარი მოქალაქეებისათვის. სახელმწიფოს ეს პრობლემა ყველაზე თვალსაჩინო სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და საპენსიო ასაკს მიღწეული მოქალაქეების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების სუსტ მიდგომებშია. სახელმწიფოს არ გააჩნდა შესაბამისი სტრატეგია შეექმნა სისტემა, რომელიც საზოგადოების ყველაზე სენსიტიური ჯგუფის სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას უზრუნველყოფდა. ქვეყნის არცერთ მთავრობას, დღემდე კონკრეტული ნაბიჯი არ გადაუდგამს საიმისოდ, რომ შექმნილიყო სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის ერთიანი სისტემა.

უფრო მეტიც, ქვეყანას არც ეფექტური კერძო (ნებაყოფლობითი) საპენსიო დაზღვევის სისტემა გააჩნია, მაშინ როდესაც პენსია ადამიანის ერთ—ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ—ეკონომიკური უფლებაა, რომელიც უზრუნველყოფს პირის საარსებო შესაძლებლობების რეალიზებას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის მონაცემით, საქართველოში საპენსიო პაკეტის მიმღები (ასაკით პენსიონერი), 682.9 ათასი პირია, ხოლო სახელმწიფო პენსიონერების ანაზღაურებას დღემდე შემწეობასთნ აიგივებს. ქვეყანაში პენსიის ოდენობა დამოკიდებულია არაპროგნოზირებად სახელმწიფო რესურსებზე. პენსიის ოდენობას ყოველწლიურად მხოლოდ ქვეყნის ბიუჯეტი განსაზღვრავს, რომელიც ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებულია დასაქმებულთა რაოდენობაზე და კონკრეტულ პოლიტიკურ ნებაზე. ყოველივე ამან შედეგად მოიტანა ის სამართლებრივი მდგომარეობა, რომ საქართველოში 2004 წლიდან გაუქმდა სოციალური დაზღვევის კანონმდებლობა და სოციალური (საპენსიო) დაზღვევის შენატანი.

დღეს არსებულმა საპენსიო სისტემამ ერთის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს, ხოლო მეორეს მხრივ, ვერ დააკმაყოფილოს პენსიონერის რეალური საჭიროება. არსებული რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ახალი დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნა და ჩამოყალიბება, რომელიც საპენსიო უზრუნველყოფის ტვირთს გადაანაწილებს საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე. შესაბამისი გამოცდილება, ამ მიმართულებით, არაერთ ევროპულ ქვეყანაში მოქმედებს. ამასთან, გასათვალიწინებელია, რომ მსგავსი სისტემა უკვე არსებობს პოსტ—საბჭოთა სივრცეშიც. საქართველოს გამოცდილებიდან გამომდინარე და არსებული პოლიტიკური ნების პირობებში, სავსებით რეალურია შეიქმნას საპენსიო დაზღვევის უნიფიცირებულ კანონმდებლობაზე დაფუძნებული დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც საპენსიო რეფორმის განვითარებისა და შედეგების წარმატებულობას უზრუნველყოფს.

მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფოს მიერ გაიცემა პენსია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საარსებო მინიმუმს, მეორეს მხრივ 1998 წლიდან, საქართველოში მოქმედებს „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ კანონი, რომლითაც ქვეყანაში უნდა ფუნქციონირებდეს მყარი არასახელმწიფო საპენსიო სისტემა. მიუხედავად კერძო კომპანიების მცირე მცდელობებისა, აღნიშნული კანონი, პრაქტიკულად არ რეალიზდება. 2013 წლის 7 მარტს, საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება „საპენსიო სისტემის რეფორმის საკითხებზე უწყებათაშორისო საბჭოს შექმნის შესახებ“. საბჭოს შექმნიდან გასული დროის მიუხედავად, 2013 წლის მაისის მდგომარეობით, არ იქნა გაწერილი მისი უფლება—მოვალეობა და სამოქმედო გეგმა.

საერთაშორისო გამოცდილებისა და ქართული რეალობის გათვალისწინებით, საჭიროა, შეიქმნას მოქნილი სამართლებრივი სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ახალი საპენსიო სისტემის შექმნას და მკაცრად გააკონტროლებს სიტემაში ჩამოყალიბებული კერძო თუ საჯარო იურიდიული პირების ფუნქცია—მოვალეობებს.

პროექტი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მცხეთის საჯარო სკოლებისთვის პროექტს „ადგილობრივი ლიდერები“ იწყებს

„ახალგაზრდა ადვოკატები“, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის, პროექტის: “ადგილობრივი ლიდერები“ — განხორციელებას იწყებს.

პროექტის მიზანია, ფართო დიალოგის წარმოება დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან, მათთვის სამართლებრივი ცნობიერებისა და სამოქალაქო ღირებულებების უპირატესობის დასაბუთება, განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული მოსწავლეების გამოვლენა და საზოგადოებისთვის წარდგენა, ახალგაზრდების დაინტერესება დემოკრატიულ პროცესებში თანამონაწილოებისთვის. ამ მიზნით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ გამოცხადებულ კონკურსში და წარმოადგენენ ანალიტიკურ სტატიებს თემებზე: „საქართველოს ევროპული არჩევანი — შესაძლებლობების ანალიზი“; „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა — პერსპექტივები და მომავალი“ და „სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის სტანდარტები“, რომლებსაც შეაფასებს პროექტის საკონკურსო კომისია.

პროექტი უზრუნველყოფს გამარჯვებული და წარმატებული სტატიების გამოვლენას და ფართო საზოგადოებაში ავტორების გაცნობას. მასში მონაწილეობას მიიღებს მცხეთის მუნიციპალიტეტის 31 საჯარო სკოლის მე—12 კლასის მოსწავლეები, რომლებსაც ექნებათ საშუალება, დამოუკიდებლად აირჩიონ შეთავაზებული სამი საკითხიდან რომელიმე ერთი, კონკურსის პირობების შესაბამისად, წარმოადგინოს ანალიტიკური სტატია, ხოლო საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს თითოეულ საკითხზე სამი გამარჯვებული ნაშრომის გამოვლენას. პროექტი გამოავლენს პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ საუკეთესო ავტორებს, ხოლო თემები, რომლებიც დაიმსაუხრებენ წარმატებული ნაშრომის სტატუსს, გამარჯვებულ სტატიებთან ერთად, დაიბეჭდება პროექტის ფარგლებში მომზადებულ კრებულში. პროექტს დაასრულებს კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას საკონკურსო თემის შესაბამისი ექსპერტები მიიღებენ, მოხდება კრებულის პრეზენტაცია და გამარჯვებული/წარმატებული სტატიების ავტორთა დაჯილდოვება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ პროექტში თანამონაწილეობისთვის მცხეთის საჯარო სკოლებს შორის იარსებებს ერთი შეზღუდვაც. სკოლას ექნება შესაძლებლობა, წარდგენილი სამი საკითხიდან, აირჩიოს მხოლოდ ერთი თემა. ამჟამად მიმდინარეობს საკონკურსო კომისიის ფორმირება. პროექტს მხარდაჭერა უკვე გამოუცხადა მცხეთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცეტრმა. ნოემბრის თვეში, „ახალგაზრდა ადვოკატები“, უშუალოდ შეხვდებიან საჯარო სკოლის მოსწავლეებსაც და გააცნობენ ინიციატივაში ჩართულობის შესაძლებლობას.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე გამოცხადებული კონკურსი ერთი მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისტვის, იქნება პირველი შემთხვევა, რომელიც დაინტერესებას გამოიწვევს ყველა სხვა მუნიციპალიტეტის ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მოსწავლეებში. ახალი სახეების წარმოჩენა და მათი საინტერესო ხედვების სამზეოზე გამოტანა შესაძლებლობას გააჩენს ინიციატივა გახდეს მუდმივმოქმედი და მიეცეს ტრადიციული სახე. პროექტის ცენტრალური ხაზი — მოზარდების/მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო განათლებიდან უმაღლესი განათლების გზაზე, იქნება რეალურად უზრუნველყოფლი და წარმოჩენილი, რაც უკვე პირველკურსელობისა და სტუდენტობის ეტაპზე, ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს, უფრო მეტი ინტერესით მოეკიდნონ საუნივერსიტეტო განათლების მიღებას, საუნივერსიტეტო შესაძლებლობებში ჩაბმვას და პროფესიონალად ჩამოყალიბებას.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ პროექტი მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწალეებისთვის 28 ოქტომბრიდან დაიწყო და 15 დეკემბერს დასრულდება. ორგანიზაცია მიუთითებს, რომ კონკურსი დაადგენსს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების მოტივაციას და მათ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ახალგაზრდებში ინტერესის სფეროს და ხელს შეუწყობს ახალი ხედვების არსებობას, გამოავლენს საკონკურსო თემებში მსჯელობის ორიგინალურ აქცენტებს და დაადგენს ახლებურ მიდგომას, რომელიც დასმული პრობლემური თემის მიმართ იარსებებს, იდენტიფიცირებას გაუკეთებს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ჩართულობის ხარისხსს პროექტის განხორციელებაში, განსახილველ თემებში გამოთქმული შეხედულებები შეთავაზებული იქნება საჯარო პოლიტიკის შემქნელი პირებისთვის, დაასაბუთებს ახალგაზრდობის ერთ—ერთ მიმართულებას - მონაწილეობას და შეადარებს ევროპულ სტანდარტს, გამოავლენს პრინციპებს, რითაც განხილულ თემებში გადაჭრის გზებია ნაჩვენები.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის კონფერენციაზე

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მონაწილეობა მიიღეს 2013 წლის 12 ოქტომბერს, თბილისში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მიღწევების, გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ მომზადებულ კონფერენციაზე. შეხვედრაზე გაცნობილ იქნა სასამართლო რეფორმის, პროკურატურის რეფორმის, პოლიციის რეფორმის, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და პრობაციის სისტემის რეფორმის შედეგები და მიმდინარეობა. ცალკე მოხსენება მომზადდა თემებზე: „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია განათლების სისტემაში“, „იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმა“ და სხვა. მივიჩნევთ, რომ შეხვედრა იყო მნიშვნელოვანი და ინფორმაციული სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისთვის. „ახალგაზრდა ადვოკატები“ დადებითად აფასებს განხორციელებულ ცვლილებებს და გააგრძელებს თითოეულ საჯარო უწყებასთან შემდგომ კომუნიკაციას.

სამოქალაქო კამპანია

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, სპეციალური გაზეთი „შენ ირჩევ პრეზიდენტს“ გაავრცელეს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2013 წლის 24 ოქტომბერს, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სამოქალაქო კამპანიის ფარგლებში, არჩევნების თემატიკაზე შექმნილი სპეციალური გაზეთი — „შენ ირჩევ პრეზიდენტს“ გამოსცა. ორგანიზაციამ მიზნად დაისახა მოქალაქეების ინფორმირება საპრეზიდენტო არჩევნების პროცედურებისა და საარჩევნო კანდიდატების, მათი საარჩევნო პროგრამების შესახებ. ამასთან, გაზეთი მკითხველს სთავაზობს სტატიებს, თუ რა უფლებამოსილებით ისარგებლებს ახლადარჩეული პრეზიდენტი, როდის და როგორ უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის ინაუგურაცია, რა უფლებები და ვალდებულებები გააჩნია ამომრჩეველს, როგორ ხდება სიების ფორმირება, როგორ ხდება არჩევნების შედეგების შეჯამება, რა შემთხვევაში იმართება მეორე ტური და ხელახალი არჩევნები, როგორია კვალიფიციური კანდიდატების საარჩევნო პროგრამები და სხვა.

ორგანიზაციის მიერ მომზადებულ სპეციალურ გაზეთში ფართოდ შუქდება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის ბიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე, ინფორმაცია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის შესახებ, მათ შორის არჩევნებში მონაწილე უცხოეთში მყოფი ამომრჩევლების რაოდენობის შესახებ. გაზეთი მკითხველს სთავაზობს სრულ ჩამონათვალს იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებაც, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნებს დააკვირდებვიან. ასევე, ინფორმაციას არცევნების დამკვირვებელი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედია—გამოცემების შესახებ. გაზეთში მკითხველი, ასევე გაეცნობა „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ 2013 წლის 5—6 ოქტომბერს ჩატარებულ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებსაც.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მომზადებული სპეციალური გაზეთი თბილისის ხალმხრავალ ადგილებში, უფასოდ გაავრცელეს.

ორგანიზაცია, საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ მაღალ ინტერესს გამოხატავს. „ახალგაზრდა ადვოკატები“ არჩევნებს ოფიციალურად დააკვირდებიან და განახორციელებენ პროცესის მონიტორინგს. ორგანიზაცია საპრეზიდენტო არჩევნებს თბილისის ათივე უბანზე დააკვირდება.

ორგანიზაციის გუნდი

კახი სანიკიძე – საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერის თანაშემწე

„ახალგაზრდა ადვოკტაების“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, კახი სანიკიძე ორგანიზაციის საერთაშორისო მიმართულების მენეჯრის თანაშემწის პოზიციაზე შეირჩია. ორგანიზაციის ახალი წევრი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კუსდამთავრებული (ჟურნალისტიკა, სკანდინავიათმცოდნეობა); ტარტუს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სტუდენტი (ესტონეთი); მალმოს უნივერსიტეტის კულტურის და საზოგადოების ფაკულტეტის სტუდენტი (შვედეთი); საზოგადოებრივი მაუწყებლის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში ერთჯერადი სატელევიზიო გადაცემის „განათლება დღეს“ წამყვანი, ყოველდღიური სპორტული გაზეთ „არენას“ ჟურნალისტი და სხვადასხვა პუბლიკაციების (ინტერვიუ, საავტრო სვეტი) ავტორია. კახი სანიკიძე საქმიანობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ ჟურნალში „შტარტ”—ში. იგი ფლობს ინგლისურ (IELTS-ის სერტიფიკატი), რუსულ და შვედურ/ნორვეგიულ ენებს.

ჩვენს შესახებ

„ახალგაზრდა ადვოკატები“, დაფუძნების დღიდან, აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას მიმართავს და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში. ორგანიზაცია ახორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან. ამ მიმართულებით, „ახალგაზრდა ადვოკატები“ ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში, მონაწილეობს სამთავრობო უწყებებთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის შემადგენლობაში, თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, წარმოადგენს ახალგაზრდულ ალიანსს: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის”.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, ამზადებს თემატურ დასკვნებს, რეკომენდაციებსა და მრგვალ მაგიდებს აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. ორგანიზაციის გუნდი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში. ორგანიზაციაში მიმდინარე და უკვე დასრულებულ საქმიანობას წარმოადგენს:

კვლევები/მონიტორინგი

კვლევა: „ლიდერი კომპანიები ახალი შრომის კოდექსის სტანდარტების დაცვის პროცესში“, 2013 (მიმდინარე)

კვლევა: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2013

კვლევა: „დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ“, 2013 (მიმდინარე)

კვლევა: „რწმენისა და აღმსარებლობის გამოხატვის შესაძლებლობა საქართველოში“, 2013

კვლევა: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ “ახალი ტალღის” ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ”, 2013

კვლევა: „ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამჭვირვალობა და საჯაროობა 2012 წელს”, 2013

კვლევა: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 16 აგვისტოს არჩევნების მონიტორინგი“, 2013

კვლევა: „საბჭოთა და პოსტ—საბჭოთა ქართული ანაბრების პრობლემის სამართლებრივი ანალიზი“ , 2013

კვლევა: „პარლამენტის წევრობის ახალგაზრდული ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“, 2012

კვლევა: „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები“, 2012

კვლევა: „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობაში“, 2012

პროექტი:

„ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურული დიალოგი სახელმწიფოსთან“, 2013 (მიმდინარე)

„ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“, 2013 (მიმდინარე)

პროექტი: „აქტიური მოქალაქე — ანგარიშვალდებული მთავრობა“, 2013 (მიმდინარე)

პროექტი: „ადგილობრივი ლიდერები — მუნიციპალიტეტის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის“, 2013 (დაწყების თარიღი: ნოემბერი, 2013)

სამოქალაქო ჩართულობა და ადვოკატირება

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანია: „გზამკვლევი მოქალაქეებისთვის — ჩემი უფლებები“, 2013 (მიმდინარე)

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანია: „შენ ირჩევ პრეზიდენტს — საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ საინფორმაციო გაზეთი მოსახლეობისთვის“, 2013 (ოქტომბერი)

მრგვალი მაგიდა: „ევროკავშირის სტანდარტები, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია საქართველოში“, 2013 (ოქტომბერი)

მრგვალი მაგიდა: „რას მოუტანს პრეზიდენტის მასშტაბური შეწყალება საზოდოებას?“, 2013 (ოქტომბერი)

„განათლების სისტემაში პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა სამართლებრივი დაცვა“ 2012—2013.

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers”არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ახალგაზრდა ადვოკატები”

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო: არჩილ კაიკაციშვილი, მარიკა არევაძე, თინათინ ნიბლოშვილი

ორგანიზაციის გუნდი: სოფიო ლეჟავა, მარიამ ნეფარიძე, ნინი ჯაჯანიძე, ნინო ღაჭავა, ნინი ისაკაძე, ანი კიკნაძე, ლევან ბერაძე, ჯაბა სირაბიძე, გიგა ასანიშვილი, რობი გეთიაშვილი

სოფიო აზარიაშვილი - **საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი**; გუკა ბაკურაძე - **ოფისს-მენეჯერი**; გულო არევაძე - **ფინანსური მენეჯერი**

მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7;
E-mail: pryoungbarristers@yahoo.com, pryoungbarristers@gmail.com; Tel: 551 081803, 2 374509, 2374503; www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა ადვოკატები